ფინალისტის დაბრუნება!

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტები აეროპორტში დახვდნენ სახელოვან დინამოელებს, გთავაზობთ რეპორტაჟს, რომელიც იმ სასიხარულო დღის ბედნიერი წუთების გაელვებას ასახავს.

გაზაფხულის ნამდვილი სადღესასწაულო დარი დახვდა დინამოელებს თბილისში. ფინალში გასულ ბიჭებს რომ ეკადრებათ, ისეთი…

ჩამოფრინდნენ! – დაიძახა ვიღაცამ და უამრავი ხალხი მიაწყდა საფრენ ბილიკზე გასასვლელ დერეფანს. იგი ვიწროა და ყველას ვერ იტევს. ჟურნალისტები წინ გასვლას ვცდილობთ. დიდი მონდომების შედეგად "ლიდერთა" რიგებში ვხვდებით – ტრანსპარანტებითა და ბაირაღებით ხელდამშვენებულ გულშემატკივრებს წინ მივუძღვებით.

ლაინერი ჯერ კიდევ მოძრაობს.

ხომალდის ეკიპაჟის მეთაური, პირველი კლასის გამოცდილი პილოტი იური ზუიკოვი სიამოვნებით იღიმება: ძვირფასი "ტვირთი" მან ზუსტად დროზე, გრაფიკით ჩამოიყვანა თბილისში. ყოველივეს ვიწერ, ვიცი, რომ ერთობ დააინტერესებს მკითხველებს დღეს და მომავალშიც…

4 აპრილი მაგონდება. იმ დღეს დინამოელებს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ვეწვიე, დავით ყიფიანმა მაშინ არაფერი მითხრა, მთხოვა – მოდი, "ფეიენოორდს" რომ შევხვდებით, მერე ვისაუბროთო, 10 აპრილსო.

თამაშის შემდეგ, ველარ შევხვდი. ვერც 10 აპრილს ვნახე. იქნებ ჯობია, რომ ვერ ვნახე, რამდენი რამ ექნება დათოს დღეს სათქმელი.

შემდეგ 6 აპრილი გამახსენდა. თბილისის აეროპირტის ღამე, მოსაცდელ დარბაზში მოგროვილი ჰოლანდიელი ფეხბურთელები, ჟურნალისტები და "ფეიენოორდის" უამრავი გულშემატკივარი. გამახსენდა პრესკონფერენციაზე ვაცლავ იეჟეკის მიერ წარმოთქმული სიტყვები – "დინამო" ტექნიკური, მაგრამ გატეხილი გუნდია, – სიტყვები, რომელიც ჰოლანდიელი ჟურნალისტების გასაგონად იყო ნათქვამი.

მეორე დღეს, სასტუმრო "აჭარის" დარბაზში, ჰოლანდიელთა გუნდი თბილისის "დინამოსა" და მოსკოვის "სპარტაკის" შეხვედრის ვიდეოჩანაწერს უცქერდა (ვიდეოჩანაწერი "დინამომ" შესთავაზა "ფეიენოორდს")…

დამთავრდა ჩანაწერის გასინჯვა და დარბაზში შუქი ჩართეს… ახლაც თვალწინ მიდგას იეჟეკის დაბნეული სახე, მას აღარ უთქვამს "დინამო" გატეხილი გუნდიაო, ნიკაპზე ხელი მოისვა და თავისთვის ჩილაპარაკა – ანო! ტო იე ფანტასტიკა! – (შორიახლოს ვიდექი და გარკვევით გავიგონე ეს სიტყვები).

8 აპრილს მატჩის დროს ჰოლანდიელი ჟურნალისტები აღტაცების გამოსახატავად ხშირად ხმარობდნენ სიტყვა – "ფანტასტიკა".

– თბილისი დიდი ფეხბურთის ქალაქია – ეს სიტყვებიც იეჟეკს ეკუთვნის და ამჯერად უკვე თამაშის შემდეგ არის ნათქვამი…

თვითმფრინავი გაჩერდა. ლაინერს ორი კარი აქვს და ორი ქათქათა ტრაპი მოცურავს თვითმფრინავისკენ…

ხალხი მჭიდრო რკალად ეკვრის ერთ–ერთ ტრაპს. ყველაზე წინ, ტრაპის კიბეზე, ბლოკნოტებითა და მიკროფონებით ვდგევართ, მარჯვნივ და პირდაპირ ტრანსპარანტები მოჩანს: "სულ გამარჯვებით გევლოთ ჩვენო ოქროს ბიჭებო", "თბილისის "დინამოს" ვულოცავთ ფინალში გასვლას", "დიდება ლომკაცებს"!

მგზავრები თვითმფრინავიდან ჩამოდიან, ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ. გონების თვალით სალონში გადავდივარ. დინამოელები კარისკენ იცქირებიან, ყველას სურს დაინახოს რა ხდება იქ, ქვევით, "მიწაზე".

აი ახლა, გვერდზე გაიწევა კარში მდგომი სტიუარდესა და პირველი გამოჩნდება ალექსანდრე ჩივაძე (რატომღაც მგონია, რომ პირველი ჩივაძე უნდა გამოჩნდეს), სტიუარდესა გვერდზე იწევა, ვირაცას გზას უთმობს და… კარში ნოდარ ახალკაცი გამოჩნდა. სასულე ორკესტრი მარშს უკრავს. გაისმის შეძახილები, ტაში. ახალკაცს მოჰყვებიან კოსტავა, შენგელია, მერე – ხინჩაგაშვილი, ყიფიანი, ჩივაძე. პირდაპირ ტრაპზე ვართმევთ ინტერვიუს შოთა ხინჩაგაშვილს, მას დაღლილი, თითქოს მოწყენილი სახე აქვს… სინანულით ამბობს – ორი გაფრთხილების გამო (ერთი ინგლისში და ერთიც როტერდამში) ფინალურ შეხვედრაზე მაყურებლის როლში გამოვალო – თუმცა ყველას გვწამს, რომ გუნდის ფინალამდე მისვლისათვის ხინჩაგაშვილმა თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

ახლა დათო ყიფიანს გამოველაპარაკეთ. იგი ნათესავების, გულშემატკივრების, მეგობრების გარემოცვაშია, კითხვებზე ნაწყვეტ–ნაწყვეტად გვპასუხობს.

– “სტუმართმოყვარეობა? კარგად შეგვხვდნენ, თბილად მიგვიღეს, თუმცა ჯობდა ცივად მივეღეთ, და “თბილად”, ადამიანურად ებრძოლათ და ემსაჯათ მინდორზე… მატჩის კომისარი? არ ვიცი ვინ იყო, კომისარი არ გვაჩვენეს, თვალით არ გვინახავს…

– იქაური პრესა რას წერს თამაშის შესახებ?

– არ ვიცი, არ ვიცი. დღეს იქნებ თავი დამანებოთ, თქვენი ჭირიმე, დაღლილი ვარ, ფეხზე ძლივს ვდგავარ. დათოს გასასვლელისაკენ მიაცილებენ. ახლა სვანაძე მოვიხელთეთ…

– კმაყოფილი ხართ თქვენი თამაშით?

– არა, არავინაა თავისი თამაშით კმაყოფილი, მსაჯებმა დაგვაშინეს, პირველი გოლი რომ არ ჩაგვითვალეს, უკვე მივხვდით, რომ განწირულები ვიყავით…

თამაშის შემდეგ იეუეკი შემოვიდა გასახდელში და ფინალში გასვლა მოგვილოცა. ოთარ გაბელიამ ჰკითხა – ალბათ კმაყოფილი ბრძანდებით მსაჯობის “ობიექტურობითო”? – იეუეკს არაფერი უპასუხია, მხოლოდ გაწითლდა, დიახ, გაწითლდა და სასწრაფოდ დატოვა გასახდელი…

იქაური პრესა? ჩვენს მიერ გატანილ გოლებზე წერენ, “ორი ბურთი კრისტალური იყო და პენალტიც არ დანიშნა მსაჯმაო”… საერთოდ, იქაური პრესა განსაკუთრებულად აღნიშნავს მსაჯების არაობიექტურობას…

შაბათის სამსაათიანი შესანიშნავი საფეხბურთო ტელეგადაცემა მახსენდება. იმ გადაცემაში ფეხბურთის საბჭოთა სპეციალისტები ერთხმად აღიარებდნენ უცხოელი მსაჯების არაობიექტურობას. კარგი იქნება, ზოგიერთი ჩვენებური მსაჯის არაობიექტურობასაც თუ ასე გულწრფელად ამხელენ ხოლმე ფეხბურთის პატივცემული სპეციალისტები, იმ პრინციპით “მოყვარეს პირში უძრახე…”, თორემ მტერს და დუშმანს რამდენიც გინდა უძრახე გნებავთ პირში და გნებავთ ზურგს უკან, იმისთვის სულ ერთია, იმან თავისი “შავი საქმე” გააკეთა და არის ახლა მშვიდად საკუთარ სახლში. განმკითხავი არავინა ჰყავს.

…ვერც სვანაძე შევინარჩუნეთ, გულშემატკივრებმა ისიც “წაგვართვეს”…

ახლა გაბელიას მოხელთებას ვცდილობთ…

აუჰ, რამხელა სიხარულია! ფეხბურთელებს ეხვევიან, კოცნიან… როგორ გინდა ახლა ვინმეს მიეკარო ინტერვიუს ასაღებად ამ “სიხარულის ზღვაში”.

შაბათს რედაქციაში ვმსჯელობდით ერთი კაცი წასულიყო თუ ორი აეროპორტში მასალის მოსამზადებლად. ახლა ვნანობ “ლელოს” მთელი შტატი რომ აქ არ არის. განა ერთ საგაზეთო წერილში შეიძლება ამხელა ბედნიერების ჩატევა?...

ფეხბურთელები ნათესავებმა, მეგობრებმა მანქანებში ჩაისვეს, ზოგი “დინამოს” იკარუსში მოთავსდა და ეს მოზეიმე კოლონა ბაირაღებითა და ტრანსპარანტებით დაიძრა შინისკენ…

22 აპრილის ღამე გამახსენდა, როცა 90 წუთის განმავლობაში დაგროვილი ბოღმა და სიხარული ვულკანივით ერთბაშად ამოაფრქვიეს თბილისელმა გულშემატკივრებმა, თუმცა გვიანი ღამე იყო, მაგრამ ყველა ნაღდი თბილისელის ბინაში თითქმის დილამდე ენთო შუქი.

ყველა ნაღდი თბილისელი დილამდე ზეიმობდა საყვარელი გუნდის დიდ გამარჯვებას, ფინალში გასვლას…

ერთხელ რედაქციაში რამდენიმე ანალოგიური ხასიათის წერილი მოვიდა:

“რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, ეს ფეხბურთი! ღირს კი ამდენი დავიდარაბის, აჟიოტაჟის, ხმაურის ატეხვად. ბურთი მრგვალია და ხან იქით გადაგორდება და ხან აქეთ გადმოგორდება. რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, ამისთანა?!”

ის წერილები რედაქტორმა მე დამაწერა. პასუხი არ გავეცი… ან რა უნდა მეპასუხა. უჯრაში შევინახე… დაე ამ სტატიის დაბოლოება ყოფილიყოს იმ წერილების პასუხი… და თუ “რა გახდა ეს ფეხბურთი?” მათ გიპასუხონ, აეროპორტში სიხარულის ცრემლით რომ ტიროდნენ, ყველა იმ ქართველმა გიპასუხოთ, ვინც 22 აპრილს შუაღამისას “დინამოს” გამარჯვებას ზეიმობდა…

ჰკითხეთ და ალბათ უსათუოდ გიპასუხებენ…

თ. ჭეიშვილი.

“ლელო”, 28 აპრილი, 1981 წ.